საქართველო

წყალარინების მომსახურებები ქ. ხაშურში

საკონსულტაციო მომსახურება

მოწვევა ინტერესის გამოხატვაზე

შპს „საქართველოს გაერთიანებულმა წყალმომარაგების კომპანიამ“ (კომპანია) მიიღო დაფინანსება *საფრანგეთის განვითარების სააგენტოსგან* (**AFD**) და აპირებს ამ თანხების გამოყენებას „**ქ. ხაშურში წყალარინების მომსახურებების**” პროექტის დასაფინანსებლად.

კონსულტანტის მომსახურება გულისხმობს **საკონსულტაციო და ზედამხედველობის მომსახურებას** პროექტზე *ქ. ხაშურში საკანალიზაციო სისტემების განახლება.* პროექტი მოიცავს:

ა. ქ. ხაშურში საკანალიზაციო ქსელის ნაწილის შესაცვლელად, დაახლოებით 86 კმ სიგრძის ჩამდინარე წყლების თვითდენითი კოლექტორების დეტალური საპროექტო სამუშაო ნახაზების შედგენას, მოწოდებას, მონტაჟსა და ტესტირებას, მათ შორის ჭების, საცხოვრებელი სახლების ხელახალ დაერთებებს არსებულ საკანალიზაციო ქსელთან (არსებულ დაპროექტებულ სისტემაზე დაერთება);

ბ. ორი ამწევი სადგურის მონტაჟს, თითოეული 5 ლ/წმ წარმადობით. ორივე სადგურის წნევა 10 მ-ია. სატუმბი სადგურები უნდა იყოს დამზადებული ვერტიკალური ორკედლიანი პოლიეთილენისგან (წრიული სიხისტე არანაკლებ SN6 კნ/მ²). (სატუმბი სადგურის პროექტის კონსტრუქციის დამტკიცებისას წარდგენილი უნდა იქნას სტაბილურობის ანგარიში, რომელიც ითვალისწინებს როგორც ნიადაგის გვერდით წნევას, ასევე ამწევ ძალებს.);

გ. მდინარის, არხის, რკინიგზის გადაკვეთებს;

დ. არსებული ჩამდინარე წყლების მილსადენების დემონტაჟს („სამუშაოები“).

კონსულტანტი იმოქმედებს, როგორც ინჟინრი FIDIC-ის კონტრაქტის პირობების შესაბამისად და პასუხისმგებელი იქნება (და არ შემოიფარგლება მხოლოდ):

- დამკვეთის სახელით ზემოაღნიშნული კონტრაქტით გათვალისწინებული ყველა სამშენებლო სამუშაოს ზედამხედველობასა და მართვაზე, რათა მიღწეულ იქნას დამკვეთის მიზნები კანტრაქტის წარმატებით შესრულებისთვის, მათ შორის ყველა საჭირო ტესტირების ჩატარებაზე, დამკვეთისთვის სამუშაოების მიღება-ჩაბარებაში მონაწილეობა მათი ექსპლუატაციაში ჩაშვებამდე და *საგარანტიო პერიოდის მონიტორინგი (დეფექტების აღმოფხვრის პერიოდის გაკონტროლება).*

შპს *„გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“* იწვევს კანდიდატებს, გამოხატონ ინტერესი ზემოთ აღნიშნული მომსახურების გაწევის თაობაზე.

წინადადება ინტერესის გამოხატვის შესახებ ღიაა:

√ საკონსულტაციო კომპანიებისთვის ☐ ინდივიდუალური კონსულტანტისთვის

☐ NGO-სთვის ☐ ერთობლივი საწარმო NGO-ს და საკონსულტაციო ფირმებისთვის

AFD-ის დაფინანსების მიღების კრიტერიუმები განსაზღვრულია ქვეპუნქტში 1.3 „AFD-ის მიერ უცხო ქვეყნებში დაფინანსებული კონტრაქტების შესყიდვების გაიდლაინები“, რომელიც ხელმისაწვდომია ონლაინ რეჟიმში AFD-ის ვებსაიტზე: http://www.afd.fr.

კანდიდატმა უნდა წარადგინოს მხოლოდ ერთი განაცხადი, საკუთარი სახელით ან ერთობლივი საწარმოს (JV) წევრის სტატუსით. თუ კანდიდატი (მათ შორის, JV-ის რომელიმე წევრი) წარადგენს ან მონაწილეობს ერთზე მეტ განაცხადში, ყველა ეს განაცხადი უარყოფილი იქნება. თუმცა, ერთი და იგივე ქვეკონსულტანტი შეიძლება მონაწილეობდეს რამდენიმე განაცხადში.

თუ განმცხადებელი წარმოადგენს ერთობლივ საწარმოს (JV), ინტერესის გამოხატვა უნდა მოიცავდეს:

- ერთობლივი საქმიანობის შეთანხმების (JV Agreement) ასლს, რომელიც დადებულია და ხელმოწერილია

ყველა წევრის მიერ,

ან

- ყველა წევრის მიერ ხელმოწერილი ინტერესის გამოხატვის შესახებ წერილი ერთობლივი საწარმოს შეთანხმების (JV Agreement) გაფორმებაზე, შეთანხმების პროექტის (Agreement proposal) ასლთან ერთად.

ამ დოკუმენტის არარსებობის შემთხვევაში, დანარჩენი წევრები ჩაითვლებიან ქვეკონსულტანტებად.

ქვეკონსულტანტების კვალიფიკაცია და გამოცდილება არ განიხილება განაცხადების შეფასების პროცესში.

დაინტერესებულმა კანდიდატებმა უნდა წარმოადგინონ ინფორმაცია, რომელიც ადასტურებს მათ გამოცდილებას და კვალიფიკაციას შესაბამისი მომსახურების შესასრულებლად. ამისათვის კანდიდატმა უნდა წარადგინოს დამადასტურებელი დოკუმენტი ბოლო პერიოდში შესრულებული მსგავსი მომსახურების შესახებ. კანდიდატმა უნდა წარადგინოს მაქსიმუმ 15 დამადასტურებელი დოკუმენტი გასული წლების გამოცდილების შესახებ. გამოცდილების მსგავსების დადგენა დაფუძნებული იქნება მათ შესაბამისობაზე შესასრულებელ მომსახურებასთან მიმართებაში, როგორც ზემოთ არის აღწერილი.

კერძოდ, კანდიდატებისაგან ელოდებიან წარადგინონ კონტრაქტების **ზედამხედველობის გამოცდილება**, რომელიც მსგავსი იქნება შემდეგი კრიტერიუმების ერთ ან რამდენიმე ასპექტში:

– წყალმომარაგებისა/წყალარინების ქსელების კონტრაქტები მინიმუმ 20 მილიონი ევროს ღირებულებით;

– წითელი/ვარდისფერი და ყვითელი FIDIC ტიპის წყალარინების კონტრაქტები(ორივე ტიპი სავალდებულოა);

– რეგიონები – საქართველო, თურქეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი;

• კანდიდატს უნდა ჰქონდეს მინიმუმ ერთი სამუშაო გამოცდილება თითოეულ ზემოთ ჩამოთვლილ კრიტერიუმში, წინააღმდეგ შემთხვევაში კანდიდატი დისკვალიფიცირდება.

• კანდიდატების რეიტინგი განისაზღვრება თითოეულ კრიტერიუმში შესაბამისი გამოცდილების მეტობის მიხედვით.

• ერთობლივი საწარმოს შემთხვევაში, მონაწილეთა გამოცდილება შეჯამდება როგორც საერთო/ერთიან მაჩენებელი.

ამ ეტაპზე კომპანია ექსპერტების რეზიუმეებს არ განიხილავს.

კომპანია შეარჩევს მაქსიმუმ ხუთ (5) კანდიდატს, ვისაც გაეგზავნებათ შეთავაზება მომსახურების გაწევის თაობაზე.

წინადადება ინტერესის გამოხატვის თაობაზე უნდა იყოს წარდგენილი არა უგვიანეს 2025 წლის 25 ნოემბრის 13:00 საათისა, თბილისის დროით.

შპს "საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია"(კომპანია),
ვის: სალომე ვაშაკიძე - დირექტორის მოადგილე ფინანსურ საკითხებში
ეთერი ფირანიშვილი - საერთაშორისო შესყიდვების დეპარტამენტის უფროსი
მისამართი: თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N5, კომპანიის სათაო ოფისი, მე-2 სართული (კანცელარია)
(0186)

ელ-ფოსტა: info.procurement@water.gov.ge; cc: e.piranishvili@water.gov.ge

აპლიკაციები გაიხსნება 2025 წლის 25 ნოემბერს, თბილისის დროით 13:00 საათზე.

დაინტერესებულ აპლიკანტებს შეუძლიათ წერილობით მიიღონ შემდგომი დაზუსტებები ზემოთ მითითებულ ელ-ფოსტაზე, ინტერესის გამოხატვის შესახებ წინადადების წარდგენამდე არაუგვიანეს 5 სამუშაო დღით ადრე.

ელ ფოსტა: Info.procurement@water.gov.ge; cc: e.piranishvili@water.gov.ge

კლიენტი დაზუსტების მოთხოვნებზე წერილობით უპასუხებს და პასუხებს გამოაქვეყნებს იმავე მედია საშუალებით, სადაც თავდაპირველად გამოქვეყნდა შეტყობინება ინტერესის გამოხატვის შესახებ (EOI), დაზუსტების მოთხოვნის მიმღები პირის იდენტიფიცირების გარეშე.